ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მართლმადიდებელი ეკლესია როგორც სოციალიზაციის აგენტი: საქართველოს შემთხვევა

მზია სილაგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია,

სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

რელიგიურ ინსტიტუტებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოების ფორმირებაში. ცვალებადი ქართული საზოგადოების პირობებში (გარემოში?) პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ეკლესიის მონაწილეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური ინდივიდის ჩამოყალიბებისას. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მასშტაბებს. არსებული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენდა სწორედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. კვლევის ობიექტი გახლავთ პიროვნების სოციალიზაციის საეკლესიო ასპექტები. შესწავლის საგანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა პიროვნების სოციალიზაციაზე.

კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, თვისებრივი კომპონენტის გამოყენებით. შედეგების მისაღება გამოყენებულ იქნა, ლიტერატურის დისკურსული ანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდები. კვლევის მეორე ეტაპზე გამოიკითხა შემდეგი სამიზნე ჯგუფი: 1. სასულიერო პირები 2. პედაგოგები 3. ექსპერტები (თეოლოგები, ფსიქოლოგები, ლიტერატურათმცოდნეები) .

კვლევის შედეგად, შესწავლილ იქნა სოციალიზაციის პროცესის მიმდინარეობა და მასში ეკლესიის როლის წილი. კვლევის შედეგების გაანალიზებისას, ნათლად გამოიკვეთა საქართველოს შემთხვევაში ზემოთ ხსენებული ორი კომპონენტის ერთმანეთთან კავშირი და ამ ურთიერთობის არაერთმნიშვნელოვანი შედეგები. სამაგისტრო ნაშრომში არსებული მონაცემები ცხადჰყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სურვილს გახდეს პიროვნების პირველადი სოციალიზაციის მონაწილე და იქცეს ამ პროცესის აგენტად.